

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №43

ქ.თბილისი

11.07.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სხდომის მდივანი;

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ანა წამალაშვილი - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი:

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი

ვასილ სიხარულიძე - „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების“ პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი

გიორგი ლემონჯავა - „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების“ პროგრამის თანახელმძღვანელი

ბათუ ქუთელია - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

თეონა აქუბარდია - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

ზაზა ცოტნიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

ნინო ჭალავანიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი

მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

კახაბერ კორძია - რექტორი

ვახტანგ წივწივაძე - კანცლერი

ნინო მინდიაშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ფიქრია ვაჰანაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

ანჟელა აბულაძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

ბელა მოსია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი

ქეთევან ლატარია - საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

გელა სვირავა - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი

მაია გონაშვილი - პროგრამის თანახელმძღვანელი, პროფესორი

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია:

სალომე პირველი - რექტორი

მარინე კობალავა - ვიცე-რექტორი

ნინო ბოჭორიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

მერაბ მიქელაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

მაია ვასაძე - დეკანი

სოფიკო ალფაიძე - ბიბლიოთეკარი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ნინო შოშიტაშვილი

ლელა ფირალიშვილი

თეო კუპრაძე

ზურაბ აგლაძე

ლია ტვილდიანი

დავით სიხარულიძე

დავით ქარცივაძე

გოჩა თუთბერიძე

თეონა დათიაშვილი

საბჭოს მოწვეული წევრი:

ნიკოლოზ ქოიავა

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:12 საათზე. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 10 წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს - ნატო გენგიურს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27³-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა
6. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, ლალი ოდიშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის 08 ივლისის №35/2848 კორექსონდენცია, რომლითაც მოთხოვნილია „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ და „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის საქართველოში არყოფნის გამო აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხების განხილვის გადადება. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა გაზიარებული. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ახალი დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სსიპ- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა



საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი 0312
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა აცილების შესახებ შუამდგომლობაზე. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა განაცხადა თვითაცილების თაობაზე, რადგან იგი საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დასკვნას იცნობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზურაბ აგლაძემ განაცხადა რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ღია უნივერსიტეტის „ეროვნული და საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამა. მისი თქმით, უსაფრთხოების მსგავსი პროგრამა საქართველოში ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს და უსაფრთხოებისთვის დამახასიათებელ ყველა კომპონენტს მოიცავს, ის ორიენტირებულია არა მხოლოდ უსაფრთხოების პრობლემებზე, არამედ ყურადღება გამახვილებულია კიბერუსაფრთხოებაზე, ჰიბრიდულ ომსა და პროპაგანდაზე. მან საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

1. რეკომენდებულია, მოხდეს სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილის გადახედვა პროგრამის განმახორციელებელი ყველა პერსონალის მიერ, რათა აღმოიფხვრას სალექციო თემატიკის გადაფარვის შემთხვევები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის გადახედვა, აგრეთვე ლიტერატურის დადარება ბაკალავრიატის პროგრამებზე გამოყენებულ ლიტერატურასთან, რათა არ მოხდეს იდენტური მასალით სწავლება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ პროგრამასთან მიმართებით წარმოადგინა შემდეგი რჩევები:

1. სასურველია პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის სასწავლო კურსები: „იმულებითი პოლიტიკა“, „ეთნიკური და შიდა დაპირისპირებები ქვეყანაში“, „სტაბილიზაცია და რეკონსტრუქცია“;
2. სასწავლო კურსი „ტერორიზმი და კონტრტერორიზმი“ არჩევითიდან გადავიდეს სავალდებულო კურსად;
3. სასურველია უშუალოდ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების გაფართოვება;
4. სასურველია ნაშრომის შეფასების პროცესში მხარდამჭერი სისტემების ფართოდ დანერგვა კურსებში პლაგიატის შემთხვევების მაქსიმალურად აღმოფხვრისთვის;
5. პრაქტიკის წესის დაწერა და სახელმძღვანელო დოკუმენტად მისი დამტკიცება, ასევე, პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსში პრაქტიკის ობიექტებზე შესასრულებელი აქტივობების გაწერა;
6. კვლევითი კომპონენტის დაფინანსების ჩადება პროგრამის ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და რჩევებთან მიმართებით.

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მოკლედ მიმოიხილა საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით, ეს არის პირველი პროგრამა საგანმანათლებლო ბაზარზე, რომელიც უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს. შესაბამისად, დაწესებულება დიდი გამოწვევის წინაშე იდგა. გამომდინარე აქედან, პირველ ეტაპზე განხორციელდა ახალი აკადემიური კადრების მოძიება, მოიწვიეს დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც დარგში შესაბამისი რეპუტაციით სარგებლობენ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ინსტიტუციამ რესურსების ნაწილშიც საკმაოდ დიდი ძალისხმევა გასწია, უნივერსიტეტის ბიუჯეტის 5% გამოყოფილია კვლევების დაფინანსებისთვის, რაც საკმაოდ სოლიდური თანხაა. თუმცა პროგრამაში კვლევითი კომპონენტის ნაწილში ხარვეზი იყო არა ის, რომ საერთოდ არ იყო მითითებული, არამედ იყო 5% გამოყოფილი სტატიების გამოქვეყნებისა და ბეჭდვისთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, კვლევითი კომპონენტი მხოლოდ აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების სტატიების გამოქვეყნებას არ მოიცავს.

პროგრამის თანახმდღვანელმა კომენტარი გააკეთა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სილაბუსებსა და ლიტერატურის გადაფარვას სასწავლო

კურსებში. დასახელდა სამი სასწავლო კურსი: „შესავალი უსაფრთხოების მეცნიერებებში“, „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, „ეროვნული თავდაცვისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკა“, სადაც გამოყენებულია პოლ უილიამსის სახელმძღვანელო ერთი და იმავე გვერდებით. მან აღნიშნა, რომ პირველ შემთხვევაში თემა ეხება უსაფრთხოების ცნების შინაარსს, განმარტებას და ფუნდამენტურ საკითხებს, მეორე შემთხვევაში კი საუბარია უსაფრთხოებაზე, უშიშროებასა და მართლმსაჯულებაზე. მისი თქმით, კონკრეტულად ამ სახელმძღვანელოს ეს გვერდები მოცემულია კიდეც 5-მდე სხვა სახელმძღვანელოსთან კომბინაციაში. ამ ინფორმაციის მიღება სხვა თემებთან ერთად შეიძლება კონტექსტს ცვლიდეს, შესაბამისად, მის გამოყენებას გამართლებული იქნებოდა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. მესამე საგანთან დაკავშირებით კი ეს გვერდები გადაინაცვლებდა დამატებით ლიტერატურაში. რაც შეეხება თემატიკის გადაფარვას, მისი თქმით აღნიშნული საკითხი ეხებოდა თეონა აქუბარდიას საგანს „რუსული ჰიბრიდული ომები“ და მისი კორელაცია „რუსულ საინფორმაციო ომებთან“, შესაბამისად, თეონა უკეთ ისაუბრებდა ზემოაღნიშნულ თემაზე.

„რუსული ჰიბრიდული ომების“ კურსის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ჰიბრიდული ომი არსებობს როგორც საინფორმაციო, ისე ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და ა.შ. შესაბამისად, „რუსული საინფორმაციო ომების“ სილაბუსი მხოლოდ ერთ ასპექტს, საინფორმაციო ომს შეეხება. არსებობს ასევე მეორე არჩევითი საგანი, რომელიც უშუალოდ რუსულ დეზინფორმაციასა და პროპაგანდას ეხება, რომელიც არჩევითი საგნის სახით არის წარმოდგენილი და უფრო სიღრმისეულად ფარავს თემას. მან დაამატა, რომ გარკვეული საკითხები ნამდვილად მეორდება მაგალითად ჰიბრიდული ომის შემთხვევაში, რადგან ჰიბრიდული ომი არ არის მხოლოდ სამხედრო და როდესაც საუბარია კომპლექსურ მიდგომაზე ამას თავიდან არიდება შეუძლებელია. თუმცა გარკვეული საკითხების კონკრეტული სხვადასხვა ასპექტის შესწავლის შესაძლებლობა ეძლევა სტუდენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ საინტერესოა და ბაზარზე ასეთი სპეციალისტების მოთხოვნა ნამდვილად არსებობს. თავმჯდომარე დაინტერესდა რომელი სპეციალობის ადამიანს შეეძლებოდა სწავლა აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის წესის შესახებ“, რომელიც კონკრეტულად ხსნის თუ რა არის ეროვნული უსაფრთხოება. მასში მოყვანილია ისეთი დარგები, როგორებიცაა ეკონომიკა, თავდაცვა, დიპლომატია და სხვა სფეროები და დაამატა რომ განათლების შეზღუდვა პროგრამაზე არ არსებობს, საბაკალავრო განათლება არ არის გარანტი პროგრამაზე ჩაბარებისთვის, რადგან ეროვნული უსაფრთხოება არ აწესებს შეზღუდვას სფეროებზე. შესაბამისად, პროგრამის შედგენისას მისი ხელოვნურად დაწესება არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ აღნიშნულ პროგრამას სხვა მსგავსი პროგრამებისაგან განასხვავებს ჰოლისტიკური მიდგომა. მისი აზრი უსაფრთხოებას აქვს მრავალი განზომილება, რომელიც ბევრ სფეროში აისახება. შესაბამისად უსაფრთხოების ასეთი გაგება, ადამიანს ეხმარება თვითგანვითარებაში, როგორც კერძო, ისე საჯარო

სექტორში. აგრეთვე მისი აზრით, პროპაგანდის ნაწილში დიდი როლი აქვს ე.წ. creative industry-ს (შემოქმედებით ინდუსტრიას), ასეთი ტიპის განათლება კი მნიშვნელოვანია პრობლემის არსის გაგებისათვის.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა თუ სად გაივლიდნენ პრაქტიკას სტუდენტები. მისი თქმით, ეს კომპონენტი მხოლოდ 6 კრედიტს მოიცავს, რაც საკმაოდ ცოტაა. მან, ასევე შეკითხვა გააუღერა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მაგისტრის ხარისხის მქონე პირსაც შეუძლია უხელმძღვანელოს ნაშრომს. მისი აზრით, უფრო რელევანტური იქნებოდა ხელმძღვანელები დოქტორის ხარისხის მქონე პირები ყოფილიყვნენ. ასევე, სასურველია კომპონენტების უფრო მეტად ჩაშლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად. შეფასება დეტალურად გაიწერა, თუმცა აქ საუბარია შიდა ქულობრივ რანჟირებაზე, რომელიც შედარებით ნათელს მოჰყვანს და გამჭირვალე იქნება. მისი თქმით, პროგრამის მესვეურები ამაზე იმსჯელებდნენ და შესაბამის მოდიფიცირებას მოახდენდნენ. მისი თქმით, ის რაც დღესდღეობით არის წარმოდგენილი წინააღმდეგობაში არ მოდის კანონმდებლობასთან, თუმცა გამჭირვალობის თვასლაზრისით ნამდვილად დასახვეწია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ნაწილში პროგრამა თანამშრომლობს ხუთი მსხვილი think-tank ანუ კვლევით ორგანიზაციასთან, რომელიც დაკავებულია უსაფრთხოების კვლევებით. ასევე, მაგალითად აშშ-ის საელჩო ყოველ წელს აძლევს საშუალებას სტუდენტთა გარკვეულ რაოდენობას გაიარონ პრაქტიკა. მან დაამატა რომ, პროგრამა, პირველივე წლებში, ბევრი რაოდენობის სტუდენტის მიღებაზე არ არის ორიენტირებული და ამას წარმოდგენილი დოკუმენტაციაც მოწმობდა. მისი თქმით, პირველ წელს დაახლოებით 20 სტუდენტის მიღება იგეგმება. შესაბამისად, უკვე გაფორმებული მემორანდუმები, ყველა სტუდენტს მისცემს პრაქტიკის გავლის საშუალებას.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა პროგრამაზე გადასახადის ოდენობით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ გადასახადი შეადგენდა 4950 ლარი.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლოური დაინტერესდა, არის თუ არა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში თუ რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ ხელმძღვანელს შეეძლო ეხელმძღვანელა არაუმეტეს 5 სტუდენტისთვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ კანონის მიხედვით მაგისტრის ხარისხის მქონე აკადემიურ პერსონალს შეუძლია უხელმძღვანელოს ნაშრომს, თუმცა მისთვის მისასაღმებელია პროგრამაზე ბევრი დოქტორის არსებობა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ დადებითად შეაფასა პროგრამაში არსებული სასწავლო გეგმა და დაამატა რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კარგი იქნება შეთავაზებული იყოს ინგლისური ენის გაძლიერებული კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი დაისვა პროგრამის შემუშავების დროს. თუმცა საბოლოოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ თანამედროვე სწავლის ენის შესწავლის კომპეტენციის საკითხში და გადაწყვიტეს, რომ თემატური სასწავლო კურსების სახით ყოფილიყო წარმოდგენილი და არა მხოლოდ ინგლისური ენის სასწავლო კურსის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 16:41 საათზე.

სხდომა განახლდა: 16:44 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება“

საფეხური - მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი(0312)

მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევებისა და მულტიმედიის წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება Media Studies and Multimedia Production
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მედიის კვლევებში 070301 Master of Social Sciences in Media Studies
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა აცხადების შესახებ შუამდგომლობაზე. საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განაცხადა თვითაცილების თაობაზე, რადგან იგი საქმიანობდა აკრედიტაციის მამიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცხადების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცხადება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დასკვნას იცნობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო შოშიტაშვილმა წარმოადგინა ექსპერტთა დასკვნა. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის ორი მიმართულებით აქტუალური, დღეს მედია მკვლევარი ბაზარზე ძალიან საჭიროა. ამასთან ერთად დღევანდელ მედია სივრცეში დიდ მნიშვნელობას იძენს კვალიფიციური მედია მკვლევარი. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა აღნიშნული პროგრამა. მიზანი და შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამას. შედეგები სავსებით მიღწევადია პროგრამისთვის. რაც შეეხება სტრუქტურას, 120 კრედიტისაგან შედგება, აქედან სავალდებულო 40 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი 15, კვლევითი კომპონენტი 45, არჩევითი დანარჩენი. პროგრამას გააჩნია სამი მრდული:

დარგობრივი ცოდნის შემცველი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, აგრარული მეცნიერებების ბიზნეს მოდული. ასევე წარმოადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი-სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ან დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსში აისახოს სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის აუცილებელი პროფესიული უნარების გამომუშავება;
2. სასწავლო კურსის „ლოკალური მედიის ტენდენციები“ სწავლება განისაზღვროს მესამე სემესტრში, წინაპირობად მიეთითოს „მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები“;
3. შეიცვალოს და განახლდეს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ლოკალური მედიის ტენდენციები“; „კომუნიკაციის აუდიოვიზუალური ფორმები - 1 (აუდიო კონტენტის წარმოება)“;
4. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი გაძლიერდეს მედია მკვლევრისთვის საჭირო პროფესიული უნარების გამომუშავების კუთხით;
5. გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური / მოწვეულიპ ეროვნალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მითუმეტეს რომ უნივერსიტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული რელევანტური ლიტერატურა მათ შორის სასწავლო მასალები (მათ შორის ვიდეო ლექციებიც);
- სტაჟირების /პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის შეთავაზება (არჩევითობის პრინციპით) პარტიორ მედიაორგანიაციებშიც, რაც ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტების უშუალოდ პროფესიულ გარემოში ადაპტირებას, ისე მათ დასაქმებას;
- სასურველია დაწესებულებამ გარე შეფასების მექანიზმად, გარდა პროგრამების აკრედიტაცია და ავტორიზაციისა, გამოიყენოს ექსპერტებისა და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლების შეფასების მექანიზმებიც.

ექსპერტის განმარტებით ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი სამეცნიერო დეპარტამენტი, რომელიც სამეცნიერო აქტივობას ახორციელებს. თუმცა აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტიკის, მედია კვლევების მიმართულებით გასააქტიურებელია. არსებობს მაღალი ხარისხის მულტიმედია ცენტრი, ამით სარგებლობენ სკოლები და მედიაპროდუქცია ძალიან კარგია. ბიბლიოთეკაში გამართულია ბაზებთან წვდომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოში მსგავსი დასახელებითა და შინაარსით სამაგისტრო პროგრამა არ არსებობს. პროგრამის შექმნაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული პირები, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, დამსაქმებლები. პროგრამა მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ძალიან ბევრი პრაქტიკოსი არის ჩართული. პროგრამაში ყველა სასწავლო კურსი არ არის 5 ან 6 კრედიტიანი კურსის კრედიტები დაანგარიშებული იყო სილაბუსის სპეციფიკიდან გამომდინარე. მიუხედავად

იმისა, რომ პროგრამა ახალია, უკვე შემუშავებულია სწავლის შეფასების მექანიზმები, რომელიც მიეწოდა საბჭოს. ასევე, თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები. მულტიმედია ცენტრი უნივერსიტეტში ცალკე სტრუქტურული ერთეულს წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ცალკე ბიუჯეტი. პროგრამას აქვს არჩევითი სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ახალი მიდგომა. საგნები შერჩეულია იმ პროგრამებიდან, რომლებიც არსებობს უნივერსიტეტში სამაგისტრო დონეზე. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სამეცნიერო საქმიანობის წახალისების მიზნით აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა. შემოღებულია რანგირების წესი, რომელიც ითვალისწინებს სახელფასო დანამატებს მაღალი სამეცნიერო აქტივობის მქონე აკადემიური პერსონალისთვის. ინტერნაციონალიზაციის კუთხით მემორანდუმები გაფორმდა ბოსნიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უნივერსიტეტებთან. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე, ჩაატარა ლექციები კაუნსის უნივერსიტეტში ერასმუს+ ის ფარგლებში. გარდა ამისა, პროგრამას ჰქონდა ორი გარე ექსპერტის შეფასება. განხილვის პროცესში, ონლაინ კონფერენციის ფორმატში, ჩართულნი იყვნენ გერმანელი წარმომადგენლები. ვიზიტის შემდეგ ინსტიტუციის წარმომადგენლებმაც გამოავლინეს გარკვეული ხარვეზები და დაიწყეს მათზე მუშაობა, შესაბამისად რეკომენდაციებს ითვალისწინებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რეკომენდაციებთან დაკავშირებით საბჭოს მოახსენა, რომ აგვისტოში მედიაგანათლების კუთხით იგეგმებოდა აშშ-ში ვიზიტი. შესაბამისად, შესაძლებელია საერთაშორისო აკრედიტაციაზეც ყოფილიყო საუბარი. პრაქტიკის გაძლიერება ისეთი საკითხებით, რომელიც მედია მკვლევარის სოციალურ მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელი პრაქტიკული და მედია მკვლევარისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ეხება. გათვალისწინებულია აღნიშნული რეკომენდაცია და პრაქტიკის სილაბუსში დაემატა ეს საკითხები, რომელთა შესწავლასაც კვირაში 6, ჯამში კი 12 საათი დაეთმობა. სასწავლო კურსის „ლოკალური მედიის ტენდენციები“ ადგილმონაცვლეობა განხორციელდა ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლო კურსის „აკადემიური წერა მაგისტრებისთვის“ სასწავლო სემესტრის ცვლილების ხარჯზე. ასეთმა ადგილმონაცვლეობამ შესაძლებელი გახადა, რომ „ლოკალური მედიის ტენდენციები“ 4-ის ნაცვლად 6 კრედიტიანი ყოფილიყო, რამაც უფრო მეტად გაზარდა თემატური საგნების წილი. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, სასწავლო კურსში „ლოკალური მედიის ტენდენციები“ განახლდა სავალდებულო ლიტერატურა, ხოლო სილაბუსში „კომუნიკაციის აუდიოვიზუალური ფორმები 1“ სავალდებულო ლიტერატურას დაემატა 2018 წელს მომზადებული რიდერი. სილაბუსებში დამატებული ლიტერატურა ბიბლიკოთეკაში ხელმისაწვდომი იყო. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებით გაგრძელდებოდა მუშაობა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ „ლოკალური მედიის ტენდენციებზე“ და ზოგადად პროგრამაზე საუბრისას პლიუსად შეიძლება ჩათვლილიყო ის, რომ ამ სასწავლო კურსების ასეთი სახით წარმოდგენა საშუალებას აძლევდა სტუდენტს, კარგად გაეაზრებინა მედიის სტრუქტურულ-ფუნქციური მიმართულება და ინსტიტუციური თვალსაზრისით ამ სასწავლო კურსების ერთობლივი წარმოდგენა არ ყოფილიყო ხშირი.



დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა დაახლოებით 2 წლის განმავლობაში მუშავდებოდა. მულტიმედია ძალიან ახალი იყო ბაზარზე, შესაბამისად, ვინც მუშაობდა ამ საკითხზე თვითნასწავლი იყო, ვითარდებოდა მუდმივად და ყოველდღიურად. რამდენიმე სახელმძღვანელოც გამოიცა იმ მიზნით, რომ ისინი მოგვიანებით ჩართულიყო შემდეგ პროგრამაში. იგივე შეიძლება ითქვას აუდიო-ვიზუალურ მედიასთან დაკავშირებით. თსუ-ის პროფესორის რიდერით ხელმძღვანელობენ. მულტიმედია ცენტრი ახალი ლიტერატურის შემუშავებაზე მუშაობს, რომლებიც არა მარტო კსუ-ს წაადგებოდა, არამედ სხვა უნივერსიტეტებსა და ქართულ მულტიმედია კვლევებს. მულტიმედია ცენტრი არსებობას იწყებდა 2011 წელს, თავდაპირველად იყო მცირე ზომის სტუდია და სამონტაჟო, რამაც სტუდენტების უდიდესი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა. ინოვაცია იყო, რომ შეიქმნა კოლაბორაციული პროდუქტი, სადაც სტუდენტი პროფესორთან ერთად ქმნიდა მასალებს. ახლაც კი მიმდინარეობდა პროდუქტის წარმოება და გახდა უნივერსიტეტისთვის ახალი შემოსავლის წყარო. არსებობდა ბლოგი, ფოტოგამოფენები. ყველა მედია ათვისებული იყო, რაც შეიძლება დასჭირდეს ფართო პროფილის ჟურნალისტს. შექმნილი პროდუქტის ნახვა არამარტო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იყო შესაძლებელი, არამედ აჭარის ტელევიზიის და სხვა ტელევიზიებისა თუ მედია მაუწყებლობების ეთერში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაახლოებით 30 სტუდენტის მიღება იგეგმებოდა სამაგისტრო პროგრამაზე. საჭიროებიდან გამომდინარე ორ ჯგუფად იქნება დაყოფილი, თუმცა შესაძლებელი იყო უფრო მეტ ჯგუფადაც მომხდარიყო დაყოფა.

საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, პრაქტიკის კომპონენტი მხოლოდ მულტიმედია ცენტრში იყო გათვალისწინებული თუ სხვა ორგანიზაციებშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის დაწყებითი კომპონენტი, ხოლო შემდეგ მემორანდუმები არის გაფორმებული და პარტნიორ ორგანიზაციებში გაივლიან პრაქტიკას. სამაგისტრო პროგრამაზე დაყრდნობით კვლევითი კომპონენტი მსუყედ არის გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით, იმედი გამოთქვა, რომ პროგრამა მხოლოდ 30 სტუდენტის გადასახადზე არ იყო დამოკიდებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მულტიმედია ცენტრს ჰქონდა საკუთარი ბიუჯეტი. გარდა ამისა, პროგრამასაც საკუთარი ბიუჯეტი გააჩნდა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებოდა ყველანაირი საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი მედია ორგანიზაციებში არ იქნებოდა პრობლემა, რადგან მედია მკვლევარებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა. ძალიან საჭიროა ისეთი ადამიანები, რომლებიც განახორციელებენ მედია კვლევას, თუმცა ასეთი ადამიანი ბაზარზე ძალიან ცოტაა.



საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა, თუ რომელი სემესტრიდან ხდებოდა სამაგისტრო ნაშრომის თემების შერჩევა, თემატიკები პროგრამას წინასწარ ჰქონდათ შერჩეული თუ სტუდენტებზე იყო დამოკიდებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, თუ როგორ ხდებოდა სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა, ზოგადად უნივერსიტეტში. აღნიშნა რომ მესამე სემესტრში ხდებოდა თემატიკის არჩევა. ხელმძღვანელები წარმოადგენენ საკუთარ თემატიკებს, შემდეგ კი თვითონ სტუდენტები ირჩევენ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს. თუმცა სტუდენტების მხრიდანაც მოდის ხოლმე თემების შესახებ ინიციატივები. თუ ასეთ შემთხვევაში ის სწავლის მიზნებსა და შედეგებს არ სცდება, ნამდვილად ხდება სტუდენტების აზრის გათვალისწინება და განაცხადა, რომ იგივე პრაქტიკა ამ პროგრამაზეც გავრცელდებოდა. მომხსენებელმა დაამატა, ასევე, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ სამი ცვლილება განხორციელდა პროგრამაში. ძირითადად შეიცვალა პრაქტიკის სილაბუსი, რომელშიც დაემატა თემატიკები. ასევე, შეიცვალა „ლოკალური მედია ტენდენციები“, რომელშიც განახლდა თემატიკები და ლიტერატურა. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები ჯერ არ იყვნენ, პროგრამაზე ცვლილებების განხორციელება უფრო მარტივი პროცესია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 17:20 საათზე.

სხდომა განახლდა: 17:58 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევებისა და მულტიმედიის წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

რეკომენდაციები:

1. პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი-სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ან/ დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსში აისახოს სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის აუცილებელი პროფესიული უნარების გამომუშავება.
2. სასწავლო კურსის „ლოკალური მედიის ტენდენციები“ სწავლება განისაზღვროს მესამე სემესტრში, წინაპირობად მიეთითოს „მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები“;
3. შეიცვალოს და განახლდეს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ლოკალური მედიის ტენდენციები“; „კომუნიკაციის აუდიოვიზუალური ფორმები 1 (აუდიო კონტენტის წარმოება);
4. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი გაძლიერდეს მედია მკვლევრისთვის საჭირო პროფესიული უნარების გამომუშავების კუთხით;
5. გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მითუმეტეს რომ უნივერსიტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „მედიის კვლევები და მულტიმედიის წარმოება“

საფეხური - მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მედიის კვლევებში
070301

მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით. დაწესებულებამ 6 თვის თავზე სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინოს ანგარიში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა აცილების შესახებ შუამდგომლობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ

არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ოქმს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელს ესწრებოდა თუ არა სააპელაციო საბჭოს და შეძლებდა თუ არა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ ჯგუფის არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა სააპელაციო საბჭოს, რაც დაწესებულების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა განემარტათ, თუ რატომ გაასაჩივრეს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და სააპელაციო საბჭოში.

საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ხელახალ აკრედიტაციაზე იყო წარმოდგენილი. განვილი ჰქონდა 2 აკრედიტაცია და მონიტორინგი. ხოლო საბჭოს შედეგად მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. არ ყოფილა საბჭოზე აღნიშნული იმ ტიპის ხარვეზი, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იყო, რომ პირობითი აკრედიტაცია მინიჭებოდა პროგრამას. ამის შემდეგ რეკომენდაციებთან ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა. სწავლების პრაქტიკული კომპონენტები გაძლიერდა, მთლიანად პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების რაოდენობა გაზრდილია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში და ოქმში დაფიქსირებული იყო საბჭოს წევრების რამდენიმე რჩევა და რეკომენდაცია. დაინტერესდა, იზიარებდა თუ არა ინსტიტუცია საბჭოს წევრების რეკომენდაციებს, თუ არა მაშინ არგუმენტირებულად დაესაბუთებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბელა მუსიამ აღნიშნა, რომ არ იზიარებდნენ ამ რეკომენდაციებს, რადგან ექსპერტთა შეფასების მიხედვით პროგრამა ოთხი სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაში იყო, ხოლო საბჭოზე მხოლოდ იმის განხილვა ხდებოდა, რა კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა პროგრამის მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს აინტერესებს, რატომ არ იზიარებდა პროგრამა ამ რეკომენდაციებს, რა არგუმენტაცია აქვთ ამის წინააღმდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბელა მუსიამ აღნიშნა, რომ არ იზიარებდნენ, იმის გაალისწინებით, რომ პრაქტიკული კომპონენტები ისედაც იყო პროგრამაზე წარმოდგენილი. სავალდებულო ლიტერატურა ნამდვილად არ იყო მოძველებული და 1-2 წლის სხვაობა გამოცემებში არ ჩათვალეს რელევანტურად. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ახალი სტანდარტების შესაბამისად არის მოდიფიცირებული. თუმცა, იმ დროისთვის შეფასების შედეგების გეგმა ასევე წარმოდგენილი იყო სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. შესაბამისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკითხი, ამ შემთხვევაშიც გაუგებრობა იყო. დოკუმენტაციის სახით არ იყო წარმოდგენილი, თუმცა პერსონალი კვალიფიცირებულია.

გარდა ამისა, სამეცნიერო საქმიანობის თვალსაზრისითაც ძალიან დიდი პროექტები აქვთ განხორციელებული უნივერსიტეტს აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, დამსაქმებელთა ჩართულობის მხრივაც არ ყოფილა კონკრეტული პრობლემა, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა. სრულიად მოულოდნელი იყო გადაწყვეტილება, რადგან საბჭოზე პროცედურულად კონკრეტული რეკომენდაციებთან დაკავშირებით არ დასმულა საკითხები.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ბევრი რამ, რაც წარმომადგენელმა ახსენა არ შეესაბამებოდა სიმართლეს. პირველი საკითხი, ლიტერატურის პერიოდიკა და ჩამონათვალი არ შეესაბამებოდა იმ თემებსა და საკითხებს სადაც მითითებული იყო. მაგალითად მოიყვანა სილაბუსი: „სამეწარმეო სამართალი“, რომელშიც ლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება თემატიკას. „სამეწარმეო სამართალი“ სავალდებულო საგნად იყო შეტანილი. ეს საგანი და მასში მოყვანილი საკითხები არ შეესაბამებოდა სახელწოდებასა და შინაარსს. შინაარსში მოცემული იყო კორპორაციული სამართალი და არა სამეწარმეო სამართალი, შესაბამისად, ეს სასწავლო კურსი არ უზრუნველყოფდა აღნიშნულ კომპეტენციაზე გასვლას, ლიტერატურად მოყვანილი მეწარმეობის შესახებ კანონი უკვე გამოსარიცხია. ხოლო შედარებით სამეწარმეო სამართალში ქეთევან ქოქრაშვილის წიგნიც უკვე მოძველებულია და არ შეესაბამება ამ კონკრეტულ თემატიკას. ჭანტურია - მეწარმეობის სამართლის კომენტარები 2002 წლის გამოცემა, რომელშიც საერთოდ არ არის საუბარი მთელ რიგ თემატიკებზე, მითუმეტეს შედარებით სამართლის ჭრილში. ასევე, გასათვალისწინებელი დარგის სპეციალისტების იგივე შინაარსის შენიშვნები, მაგალითად, „ფინანსური მენეჯმენტი“ და სხვ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭო საუბრობდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამ ოქმის მიხედვით საუბარია განახლებული ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა ირაკლი ბურდულმა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ამილახვარმა განაცხადეს, რომ საბჭოს წევრებს ხელთ ჰქონდათ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს წევრმა ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე კითხულობდა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალს: ფინანსური აღრიცხვა, სამეწარმეო სამართალი, ინვესტიციები და სხვა რომლებშიც ძალიან ბევრი პრობლემაა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ მეტნაკლებად დადებითი დასკვნა. ის ხარვეზები, რომლებიც ზეპირი მოსმენის დროს გამოიკვეთა, რატომ არ შეფასდა ექსპერტთა დასკვნაში, რადგან აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი იყო კონკრეტული არგუმენტები, რის გამოც მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება და ის გაცილებით მეტი იყო ვიდრე ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შინაარსი შეესაბამებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ხარისხი შესაბამისობაში იყო არსებულ სტრუქტურასთან. ასევე, სასწავლო კურსების

შინაარსები შეესაბამებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს. ხარვეზები დაფიქსირდა რეკომენდაციების სახით, ხოლო კონკრეტულ ხარვეზებზე თუ იქნება მითითება, ამასთან დაკავშირებითაც შესაძლებელია კომენტარის გაკეთება.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭომ პირველი განხილვის შემდეგ წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა დარგის სპეციალისტების გიორგი თურქიასა და პაატა ბრეკაშვილის მიერ.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ჰქონდა კითხვა ექსპერტებთან. იმისთვის რომ იურიისტი დადგე სავალდებულო საგნებში გვაქვს ჩვენ, მაგალითად სისხლის სამართლის პროცესი. ეს სილაბუსი რომ გავანულოთ კვალიფიკაციაზე ხომ ვერ გავალთ, სავალდებულო საგნების კატეგორიიდან თუნდაც ერთი საგანი რომ ამოვარდეს. ეს ხომ არის ბადე, რომელიც სავალდებულო საგნების ჯამით კრავს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შედეგს. თუ კი აქვთ მათ მაგალითად „სამეწარმეო სამართალი“ ან/და სხვა ბევრი საგანი, რომელიც აღნიშნულ იქნა ხარვეზიანი სავალდებულო საგნების ნუსხაში, რომ ამოვიღოთ რომელიმე კურსი, რომელიც დაწესებულებას მითითებული აქვს სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში და პროგრამის განუყოფელ ნაწილად ითვლება, გავა თუ არა კვალიფიკაციაზე პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხოლოდ ერთ საგნით ხომ არ გადის პროგრამა შედეგზე და ითხოვა კონკრეტულად წაეკითხათ ის ფრაზა ოქმიდან და გადაწყვეტილებიდან, სადაც მოცემული იყო აღნიშნული რეკონდაცია.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ერთ საგანზე კი არა პრინციპზე იყო საუბარი. რატომ შედგება პროგრამა არჩევითი და სავალდებულო კომპონენტებისაგან, იმიტომ, რომ სავალდებულო კომპონენტების ჯამი თუ არ გაქვს გავლილი, არჩევითს ვერ გაივლი და შესაბამისად ვერ გახვალ მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. შეიძლება წიგნი იყოს მოძველებული, თუმცა ამ შემთხვევაში ლიტერატურის სიახლეზე არ არის საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „სამეწარმეო სამართალი“ არც ერთი საგნის წინაპირობა არ არის, შესაბამისად, ამ საგნის აღება იმის მაგალითად, რომ თუ ვერ გაივლის მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე ვერ გავა არასწორია. სამართალი იმიტომ არის ჩასმული, რომ საბაზო სამართლის ცნებები ისწავლოს სტუდენტმა, სამართალზე წარმოდგენა რომ შეექმნას. მას უნდა ჰქონდეს ისეთი საგნების ცოდნა, რომელიც ინოვაციური პროდუქტის შექმნისაკენ წაიყვანს მას.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ მაშინ სავალდებულო საგნებიდან ამოეღოთ ეს პროგრამა და პრობლემაც მოგვარდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნესმენისათვის, იმ დონის სამართლის ცოდნა, რასაც საბჭოს წევრები აღნიშნავდნენ, სავალდებულო არ იყო და ეს საგანი იმიტომ ჰქონდათ პროგრამაში ჩასმული, რომ კურსდამთავრებულს წარმოდგენა ჰქონოდა სამართლის საკითხებთან დაკავშირებით და არა იმიტომ, რომ ეს მათი კვალიფიკაციისათვის სავალდებულო იყო. პირიქით საერთოდ არ სჭირდება სტუდენტს ბაკალავრის დონეზე სამართლის ცოდნა. მას სჭირდება რომ ჰქონდეს ისეთი ცოდნა, რომლითაც შეძლებს შექმნას ახალი ინიციატივები და ა.შ. ასევე, განაცხადა, რომ წინა საბჭოზე აღნიშნულ საკითხებთან

დაკავშირებით საერთოდ არ იყო საუბარი და ამის დასტურად შეედლოთ წინა ოქმს გასცნობოდნენ. ირაკლი ბურდულს განუმარტა, რომ წინა საბჭოზე ლიტერატურის სიძველესთან დაკავშირებით იყო საუბარი და, რომ აღნიშნულ საკითხს პირველ საბჭოზე მხარი დაუჭირა.

საბჭოს წევრ ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ შეიძლება წიგნი იყოს მოძველებული და დაწესებულებას არ ჰქონდეს შესაძლებლობა შეიძინოს, მაგრამ აქ არის შემთხვევა, როდესაც სტუდენტს აძლევ საკითხს და წიგნს, თუმცა ის ვერ იპოვის შესაბამის საკითხს ამ წიგნში. შესაბამისად, ვერასდროს ვერ აითვისებს ამ მასალას სწორად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამატებითი ლიტერატურაც იყო მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ წინა საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმის საფუძველზე, რომ მეორე სტანდარტი დაიწია.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ დეტალურად გავცნო აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოს ოქმებს, სრულიად ეთანხმება ირაკლი ბურდულს სილაბუსთან დაკავშირებით. ერთადერთი საშუალება, მტკიცებულება საბჭოს აღსადგენად არის საბჭოს ოქმი. ოქმში წინა საბჭოს წევრი გიორგი თურქია, რომელიც ასევე დარგის სპეციალისტია, აღნიშნა შენიშვნები საბჭოზე, საგნობრივი იყო თუ სხვა, უამრავი შენიშვნა, თუ რეკომდაციაა, ამას თუ გადავხედავთ საბჭოს არ უთქვამს უარი აკრედიტაციაზე, მოგვით პირობითი აკრედიტაცია და ამისათვის გამოიყენა სრული ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებას მისცა დრო აღნიშნული ხავეზების გამოსასწორებლად. სააპელაციოს ოქმში არ ჩანს დასაბუთება, რატომ მოხდა საკითხის დაბრუნება, და არც დაწესებულების მოტივაცია ჩანს თუ პირობითს რატომ ასაჩივრებენ? დაწესებულება თვლიდა, რომ პროგრამა სრულყოფილი იყო და სრულ აკრედიტაციას იმსახურებდა? თუ ასე თვლიდნენ, მაშინ მათ საგნობრივად უნდა ჩამოთვალონ და გასცენ პასუხი.

არ ჩანს რა იყო სააპელაციოზე გასაჩივრებულ ოქმში, ასევე, არ არის არგუმენტაცია თუ რატომ დაბრუნდა საკითხი უკან განსახილველად. აკრედიტაციის წინა ოქმიდან და ადგილზე გამოთქმული მოსაზრებებიდან ჩანს, რომ გარკვეული ხარვეზები პროგრამას ჰქონდა და მის გამოსასწორებლად მოგვცათ პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ სხდომა სწორედ ამ კითხვით დაიწყო და მაშინ აღინიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ამ რეკომენდაციებს და არ გაითვალისწინეს. ახლა ხდება აპელირება, რომ ისინი ეთანხმებიან და ზოგიერთი გაითვალისწინეს. დაინტერესდა თუ მიიღეს რეკომენდაციები და შეასრულეს უკვე, მაშინ რატომ მოხდა გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო საბჭოზე, ანუ მიიღეს რეკომენდაციები მათთვის მისააღები იყო, გაითვალისწინეს და უკვე გამოასწორეს კიდევ, ასეთ შემთხვევაში, გასაჩივრების მოტივაცია რა იყო?

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ საბჭო ამ შემთხვევაში მხედველობაში ვერ მიიღებს გასწორებულ დოკუმენტაციას, რადგან ამ ეტაპზე საკითხის განხილვა ხდებოდა იმ დროინდელი მდგომარეობით და დოკუმენტაციით. დაწესებულებამ

გასაჩივრა პირობითი აკრედიტაცია და გააზრებული ჰქონდათ თუ არა ის რისკი, რომ საბჭოს ამ ეტაზე შეეძლო უარყოფითი პასუხის მიცემა, რადგან ორჯერ პირობითი აკრედიტაციის მიცემა დებულების მიხედვით არ ხდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ის თუ რაზე იყო საუბარი საბჭოზე და რაც აისახა ოქმში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი 5 კრედიტიდან გახდა 10 კრედიტი. ეს ეფუძნებოდა შრომის ბაზრის კვლევას, აქვე ჩართული იყო დამსაქმებელი, კურსდამთავრებული. გარდა ამისა, გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტის სასწავლო კურსები საბუღალტრო პროგრამები, spss ბიზნესის სტატისტიკისათვის და სხვა. თუ შევადარებთ წინა პროგრამას და ახალს, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პრაქტიკის კომპონენტი. გაუგებარია თუ რატომ იყო შემოთავაზებული ეს რეკომენდაცია, როდესაც ეს იკითხება წარმოდგენილ პროგრამაში. მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია და ავტორიზაციისას წარმოდგენილი იყო swot ანალიზი. გამოკითხვების შედეგად მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. ასევე, პროგრამა აბსოლუტურად ადაპტირებულია მობილობით მოსარგებლე პირებისთვის. გარდა ამისა, პროგრამაში გათვალისწინებულია ღირებულებებზე ორიენტირებული სასწავლო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა მიმართა დაწესებულებას და სთხოვა, რომ გაყვნენ საგნობრივად და ჩამოაყალიბონ არგუმენტები. როგორც გიორგი თურქია ამბობდა, ეს რაც ექსპერტებს ჰქონდათ წარმოდგენილი და ასახული დასკვნაში არ ნიშნავდა იმას, რომ სასწავლო კურსებში საკმარისად იყოს პრაქტიკის კომპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მაშინ მითითებული ქეისები, პრაქტიკული დავალებები, სიტუაციური ამოცანები იყო თუ არა პრაქტიკის კომპონენტი, წინა საბჭოს ოქმში დაწესებულების პასუხიც არის მოცემული ამ საკითხთან დაკავშირებით. ბატონი გიორგი თურქია გამოხატავდა საკუთარ აზრს, თუმცა არ განმარტავდა ეს პროგრამას აზიანებდა და იყო ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა დაწესებულებას განუმარტა, რომ მათ უნდა წარმოედგინათ არგუმენტები, რომელიც გააბათილებდა წინა საბჭოს მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებსა და მიღებულ გადაწყვეტილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გიორგი თურქიას მხრიდან იყო შეუსაბამობა, ამბობდა ერთს და შემდეგ მეორეს. ეს აღნიშნული იყო, როგორც მოსაზრებები და არა რეკომენდაციები. თუმცა ამის მიუხედავად საბჭომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ასევე, საბჭოს არ დაუსაბუთებია თუ რატომ მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამაზე აქვთ მოდულები. მოდულების გაყოფა არ არის მხოლოდ ერთი მოდულის ასარჩევად, არამედ მარტივად აღსაქმელად. თუმცა, ეს პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ერთი მთლიანი მოდული უნდა აიღოს სტუდენტმა. დალაგებულია გარკვეული სფეროების მიხედვით. რადგან სტუდენტებმა უკეთ დაინახონ თუ რას სთავაზობს მას უნივერსიტეტი. მათ შეუძლიათ ერთი საგანი ერთი მოდულიდან აირჩიონ, მეორე საგანი-მეორე მოდულიდან და ა.შ. ეს არ არის ასეთი დადგენილი დოგმა, რადგან არ ენიჭება მოდულის მიხედვით კვალიფიკაცია. ბატონ გიორგი

თურქიას აღნიშნული აქვს, რომ პროგრამა მოდულებად იყო დაყოფილი, ის არ იყო პროგრამის მოდულებად დაყოფის მომხრე, თუმცა მოგვიანებით აღნიშნავს, რომ ეს უნივერსიტეტის გადაწყვეტილებაა. ეს ნიშნავს, რომ მან კარგად ვერ გაიგო რაზე იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ მაგ ფრაზას შემდეგ მოყვებოდა კიდევ აუდიტის და აღრიცხვის მოდული.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და წაიკითხა ამონადირი წინა აკრედიტაციის საბჭოს ოქმიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით - „მათ ჰქონდათ აუდიტისა და აღრიცხვის მოდული. სასწავლო კურსი გადასახადები იყო არჩევითი. თუ დარგობრივი მოდული იყო, მაშინ ეს კურსი უნდა იყოს სავალდებულო. არჩევითი შეიძლება იყოს ყველა დანარჩენი მოდულისათვის, ვისაც არ უნდოდა არჩევა, მაგრამ აუდიტისა და აღრიცხვის მოდულის შემთხვევაში, ეს კურსი უნდა ყოფილიყო სავალდებულო.“ - დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ გიორგი თურქია ამოდიოდა იმ ფაქტიდან თითქოს ეს მოდული აუცილებლად უნდა გაველო სტუდენტს, მაგრამ ეს ასე არ არის. მოდულში საგნები არის განლაგებული რაღაც სპეციალიზაციის მიხედვით და მეტი არაფერი ფუნქცია მას არ გააჩნია. ასევე, განაცხადა, რომ ბევრი რეკომენდაცია ჰქონდა გამოთქმული გიორგი თურქიას, მაგალითად ქოუჩინგის, მარკეტინგის, ქემფლოუსა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ ოქმში საუბარია პრაქტიკაზე, მარკეტინგზე, აღნიშნულია ლიტერატურის თემაც, დაწესებულებას მოუწოდებს, რომ აღნიშნული საკითხები საგნობრივად გაიარონ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ მოდულების კლასიფიკაცია არის პირობითი, მხოლოდ გამოყოფილია სფეროების მიხედვით, არანაირი კონცენტრაცია არ არსებობს. ხოლო ძირითად საგნებში ვხვდებით, რომ ანიჭებს იმ ცონდას, რაც სჭირდება. პრაქტიკულ ნაწილში არის რეკომენდაცია, რომ გარკვეულ სილაბუსებში იყო გასაძლიერებელი, რომელშიც იგულისხმება Case Study-ები და პროექტები. სტუდენტების მოსაზრება იყო, რომ ჰქონდეთ მეტი პრაქტიკა კონკრეტულ საგნებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბელა მუსიამ აღნიშნა, რომ გამოკითხვა მიმდინარეობდა ძველი პროგრამის სტუდენტებთან და არა ახალი წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებთან. შესაბამისად პროგრამა მოდიფიცირდა და ეს ყველაფერი შეცვლილია. ინტერვიუების დროს მონაწილეობას იღებდნენ ის სტუდენტები, რომლებიც ძველი პროგრამით სარგებლობდნენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. იყო მითითებული კონკრეტული კურსები, რომლებშიც ლიტერატურა და შინაარსი უნდა განახლებულიყო. საკმაოდ იყო შემთხვევები, რომ ლიტერატურა იყო გასაახლებელი. აქედან გამომდინარე მსგავსი რეკომენდაცია იქნა მიღებული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ პასუხობდა პროგრამის სწავლის შედეგებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გელა სიგავამ აღნიშნა პრაქტიკებთან დაკავშირებით. აქ იყო საუბარი არა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე, არამედ პრაქტიკული აქტივობების გაძლიერებაზე. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გარკვეულ საგნებში იყო პრობლემა.

ამის შემდეგ გადაიხედა სტატისტიკა, პრაქტიკული 150 საათი, უშუალოდ პრაქტიკული კომპონენტის ქეისებისა და ბიზნეს სიტუაციების გარეშე იყო 43%, ქეისების 9.5%, ბიზნესის სიტუაციები 19.5%. ჩნდება კითხვა საჭიროა თუ არა უფრო მეტად პრაქტიკის კომპონენტის ჩართვა? პროგრამის ხელმძღვანელი ვერ აიძულებს კონკრეტული სილაბუსების ავტორებს. პრაქტიკული კომპონენტები საკმაოდ არის გაზრდილი წინა პროგრამასთან შედარებით. ყოველდღიურად იცვლება ინფორმაცია, ამის შესახებ ბავშვმა თუ არ იცის, არ შემოვა და ლექციას არ დაესწრება. მაგალითად, თანამედროვე ბიზნესის შესახებ თუ არ მოუყევი სტუდენტს, ეს არის ინტერესი, რომელიც ბავშვს უნდა ჩაუნერგოს პროგრამამ. მიზანი სულაც არ არის ის, რომ სამართლებრივი ცოდნა მისცენ სტუდენტებს. თუმცა, ეს არის პროფესორის პასუხისმგებლობა საკუთარი სილაბუსის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბელა მუსიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც აქ არის მითითებული ნამდვილად არ არის ისეთი, რომ პროგრამა კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა. არც ერთი რეკომენდაცია უყურადღებოდ არ დარჩენილა. დამსაქმებლებთან ურთიერთობების შესწავლის მიზნით დაწესებულების თანამშრომელი მიემგზავრება პორტოს უნივერსიტეტში. ინიციატივა იყო, რომ პლაგიატზე სანდოობის ხარისხის შესახებ მუშაობა დაწყებულიყო და ილიას უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მათ შეიძინეს პროგრამა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში წარმოდგენილი კომპონენტები საბოლოო შედეგების დამადასტურებელია. რაც შეეხება საბიბლიოთეკო რესურსებს, უნივერსიტეტი ცდილობს და ზრუნავს მათ გასაახლებლად. გარდა ამისა, გაფორმებულია ხელშეკრულებები ონლაინ ბაზებთან. შესაბამისად, დღეს მიმდინარე პროცესები არ არის უცვლელი და ვითარდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გელა სიგავამ ლიტერატურასთან დაკავშირებით დაამატა, რომ „ბიზნესის საფუძვლები“ 2008 წლის შენგელიას სახელმძღვანელოთი ისწავლება. ასევე, მოთხოვნაა, რომ ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, ტენდენციებზე თუ არ ვესაუბრებით, სტუდენტი არ შემოვა და არ გაჩერდება ლექციაზე. ეს არ იძლევა საშუალებას, რომ ყოველ წელს ახალი წიგნი დაიდოს. უნივერსიტეტმა ბოლო 2 წელიწადში 4-ჯერ გააკეთა შესყიდვა და ფიზიკურად არ არსებობდა ლიტერატურა. იგეგმება ახალი წიგნის შეტანა ახალ პროგრამაში, რომელსაც ჰქვია „Start up-ები“, რომელიც ახალი დარგია და არ არის ქართულად ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ მსჯელობა მიდიოდა გარკვეულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და იყო გარკვეული ხარვეზები, რომლებიც შესასწორებელია. დაწესებულებას მიეცა სრული ვადით პირობითი აკრედიტაცია. საბჭოს, რომ მიეღო გადაწყვეტილება მონიტორინგით, ეს ყველაფერი მაინც უნდა პროგრამას გაეწლო და ეს ყველაფერი უნდა გამოესწორებინათ. გამოყენებულია სრული ვადა, მეტი დრო მიეცათ, რომ პროგრამა განევიტარებინათ. საბჭო არ არის ვალდებული მხოლოდ ექსპერტთა დასკვნას დაეყრდნოს და ასე გამოიტანოს გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, სხვა გარემოებები გამოიკვეთა წინა საბჭოზე და ამიტომ მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება. სააპელაციო საბჭოს რომ დაეწერა მეტი დასაბუთება უფრო ნათელი იქნებოდა თუ რატომ დაბრუნდა საკითხი ხელახალ განხილვაზე.



დაწესებულების წარმომადგენელმა, ბელა მუსიამ მიმართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, გიორგი ამილახვარს და სთხოვა, რომ დაუსახელოს კონკრეტული გასასწორებელი ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა მიუთითა იმ რეკომენდაციებზე, რომელიც პროგრამას მიეცა წინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გელა სიგავამ აღნიშნა, რომ ოქმის გადახედვის შემდეგ ნათელია, რომ ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებებია ნახსენები. - Couching რატომ არ არის აღნიშნული - ამაზეც იყო საუბარი, თუმცა პროგრამას გაწერილი აქვს ეს მატრიცა, რომლის მიხედვითაც ხდება სწავლება. ეს თემები კი სხვა საგნებშია გაფანტული და გაწერილი. ორი სტანდარტის დაწევა რატომ მოხდა, არ იყო დასაბუთებული.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, სააკუელაციო საბჭოს ესწრებოდნენ თუ არა წინა აკრედიტაციის საბჭოს წევრები ან ექსპერტები, რომლებმაც განახორციელეს პროგრამის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გელა სიგავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პირები არ ესწრებოდნენ სააკუელაციო საბჭოს სხდომას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია გონაშვილმა განმარტა თუ რატომ იყო პროგრამა შეტანილი სააკუელაციო საბჭოზე განსახილველად, ექსპერტთა დასკვნაში ოთხი სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია და ერთი სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაში. რეკომენდაციები არის ისეთი, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარებას. ის წიგნი, რომელიც შეიძლება დღეს იყოს მითითებული, ხვალ აღარ გამოდგეს, რადგან მოძველებული იყოს. უნივერსიტეტს აქვს წვდომა უახლეს ლიტერატურასთან. ასევე, ის დასკვნა, რომელიც ექსპერტთა მხრიდან იქნა გამოტანილი პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით, აქ არის ორი განსხვავებული პროგრამა - რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს და მეორე მოდიფიცირებული, რომელიც შემოტანილ იქნა აკრედიტაციაზე. შესაბამისად, ის სტუდენტები, რომლებიც გამოიკითხნენ პრაქტიკასთან დაკავშირებით სწავლობდნენ ძველი პროგრამის მიხედვით. ზუსტად მათი და დამსაქმებლის მოსაზრებების გათვალისწინებით ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება. ის, რომ ექსპერტებმა ვიზიტის დროს ნახეს ეს სტუდენტები და გაესაუბრნენ, არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამა შედეგზე ვერ გადის. პროგრამა არ არის მოდულური პროგრამა, მხოლოდ არსებობს სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, რომ გაუადვილდეთ საგნების არჩევა. ის, რომ საბჭოს წევრების მხრიდან ნახსენებია, რომ თუნდაც „სამეწარმეო სამართლში“ შესაძლებელია გამოსწორდეს და შეიცვალოს, არ ნიშნავს, რომ პროგრამა არ გადის შედეგზე. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეეძლო შეეტანა აპელაციაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გელა სიგავამ აღნიშნა კვლევებთან დაკავშირებით. რეგიონული ტრანსფერისა და ბიზნეს კვლევების ცენტრის ჩამოყალიბება იგეგმება დაწესებულების მხრიდან. განხორციელდება რეგიონული მასშტაბის ბიზნესის კვლევა, რომელშიც უნივერსიტეტის პროფესორა აქტიურად იქნება ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:57 საათზე.

სხდომა განახლდა: 19:26 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა 2018 წლის 28 ნოემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3² პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁵ მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 28⁸ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“

საფეხური - ბაკალავრი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)

ძალაში დარჩეს აკრედიტაციის წინა საბჭოს გადაწყვეტილება, კერძოდ 2018 წლის 28 ნოემბრიდან მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა აცილების შესახებ შუამდგომლობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ოქმს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში შესაბამისი დარგის სხვა ექსპერტის, პროფესიული ორგანიზაციის წევრის, სფეროს სპეციალისტისა და სხვა პირთა მოწვევა. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე საბჭომ იშუამდგომლა ცენტრთან და სხდომას ესწრება მოწვეული ექსპერტი ნიკოლოზ ქოიავა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა სიტყვა გადასცა საბჭოზე მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტს, ნიკოლოზ ქოიავას და სთხოვა მისი მოსაზრებები წარმოადგინა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნიკოლოზ ქოიავამ აღნიშნა, რომ გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ამონარიდების სახით კონკრეტულ დეტალებზე გაამახვილებს ყურადღებას. პირველ რიგში, პროგრამის აღწერაში აღნიშნულია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ბიზნესის ყველა დეტერმინანტის კომპლექსურ ცოდნას. ასევე, პროგრამის შედეგების აღწერაში წერია, რომ დარგობრივი უნარების ნაწილში აღრიცხვის, რისკების, მართვის და დაზღვევის საგადასახადო რეგულაციების პრაქტიკული საკითხების ანალიზი.

თუმცა, უშუალოდ საგნების სილაბუსების შესწავლის შემდეგ არ დასტურდება თუ როგორ ხდება ამ შედეგების მიღწევა, რომელი საგნებით არის შესაძლებელი. ასევე, საინტერესოა პროგრამის ფარგლებში არსებული აუდიტის სასწავლო კურსი რომელ მიზანს ემსახურება. ასევე, მითითებულია ფინანსური აღრიცხვის პრაქტიკული საკითხების ანალიზის შედეგში, თუმცა კავშირი გაუგებარია. საგანს არ გააჩნია წინაპირობა და საკითხავია აგრეთვე აუდიტის საგნის გავლა ფინანსური აღრიცხვის გარეშე რამდენად მიზანშეწონილია. ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნასა და გამოყენებაში მითითებულია ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცედურების გაცნობიერება, თუმცა, სილაბუსის გაცნობის შემდეგ ჩანს, რომ თვითონ ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესი თემატურად განხილული არ არის. ისევე, როგორც ფინანსური ანგარიშების შედგენა წინასწარ განსაზღვრული მეთოდების შესაბამისად. ლიტერატურასთან რამდენიმე საკითხი, თვითონ „კორპორაციულ ფინანსებსა“ და „ფინანსურ მენეჯმენტში“ 2007 2008 წლის ლიტერატურაა მითითებული, რომელიც არ არის აქტუალური დღევანდელობაში. რეკომენდაციის სახით შეიძლება ლიტერატურის განახლება ყოფილიყო მოცემული.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პოზიცია ასახულია დასკვნაში, მთლიანობაშია პროგრამა შეფასებული. პირველ და მეხუთე სტანდარტებთან არის შესაბამისობა, მეორე, მესამე, მეოთხე სტანდარტებთან მეტწილი შესაბამისობა. მითითებულია ასევე, რომ სწავლის შედეგები და მიზნები საჭიროებდა სასწავლო კურსებში დაკონკრეტებას. ნაწილი დასკვნაში ასახულია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა. ლიტერატურასთან დაკავშირებით რჩევაში იყო წარმოდგენილი, რომ ლიტერატურაში შეეძლოთ ჩაერთოთ ახალი და უცხოენოვანი ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ გასაგები იყო ექსპერტთა დასკვნის შედეგი, თუმცა ექსპერტებს მიმართა კითხვით, შეეძლო თუ არა პროგრამას გასულიყო სწავლის მიზნებსა და შედეგებზე იმ სახით, რომელითაც იყო წარმოდგენილი?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა იმ სახით, როგორც იყო წარმოდგენილი, ძირითადად გადიოდა მიზნებზე, თუმცა ის რეკომენდაციები არსებითი იყო და მისი გათვალისწინება კი - აუცილებელი.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნიკოლოზ ქოიავამ განმარტა, მიზანში ნახსენებია ბიზნესის ყველა დეტერმინანტის კომპლექსური ცოდნა, შესაბამისად, არსებობს საგნები, რომლებიც არის სპეციფიური, თუმცა ბიზნესის ადმინისტრირების კომპლექსურ ცოდნას არ ამოწურავს ეს პროგრამა. მიზანი, რაც დასახულია სხვანაირი პროგრამისთვის უნდა იყოს, რომელიც სხვა სილაბუსებით იქნება უზრუნველყოფილი. საწარმოო, ტექნოლოგიური პროცესები, საწარმოო ეკონომიკური საკითხები ნაკლებად იყო წარმოჩენილი. შესაბამისად, მიზანი, რომელიც თხოულობს ყველა დეტერმინანტის კომპლექსურ ცოდნას, ეს ბალანსი დაცული არ არის. აქედან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს ყველა საკითხის დაბალანსებულ ცოდნასა და ამ მიზნის მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ მიქელაშვილმა აღნიშნა, რომ შენიშვნები, რომელიც იყო გამოთქმული ვერ შექმნის შთაბეჭდილებას, რადგან ეს ყველაფერი ეხება პროგრამის იმ ერთ ნაწილს, რაც არის ფინანსები. პროგრამას არ ჰქონდა სპეციალიზაცია. ეს იყო კოლეჯი,

საუბარი იყო, რომ სტუდენტები ირჩევდნენ კონცენტრაციას მესამე კურსის შემდეგ. აქ საუბარია იმაზე, რომ კოლეჯის კურსდამთავრებული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, შესაბამისად, კურსდამთავრებულს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს აუდიტზე, ფინანსურ აღრიცხვაზე და ა.შ. არა სიღრმისეულად. ძალიან ბევრ კოლეგასა და უნივერსიტეტთან ჰქონდათ კონსულტაცია, მათ შორის რიგაში არსებულ ბალტიის საერთაშორისო აკადემიასთან. მათთან ერთად იყო ეს პროგრამა შედგენილი და რომ დაწყებულია მუშაობა ორმაგი დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით. ეს წარმოადგენდა პროგრამის უმცირესი კომპონენტს და ეხებოდა მის ფინანსურ ნაწილს.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ კარგად გაცნობო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს. აქედან უმეტესობა არ იყო ეკონომისტი, იმ პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც აწევდა ამ პროგრამის რაობას. ზოგიერთი მართლაც ძალიან კარგი სპეციალისტია, თუმცა უმეტესობა იმ საგნებს, რომელთაც ისინი კითხულობენ კვალიფიკაციასთან თავსებადობაში ვერ მოდიან. კონკრეტულად განიხილა აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები, ზოგი ძალიან კარგი იყო, მაგრამ უმეტესობა ვერ განახორციელებდა იმ საქმიანობას პროფესიის მიხედვით, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ. პირველი, არსენ გვიმრაძე, ისტორიკოსი, პუბლიკაციებიც ისტორიის მიმართულებით აქვს. საბჭოს წევრს აინტერესებდა, ისტორიის რა ხვედრითი წილია ამ პროგრამაში. მეორე, გიორგი შოშიტაიშვილი, რომელიც არის მაგისტრი, ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. ეს საქართველოში იყო? თუ უცხოეთში ჰქონდა დამთავრებული? მესამე, დავით ადვაძე, არ ჩანს აქვს თუ არა პუბლიკაციები. შენიშვნის სახით, საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები გასასწორებელია, ძალიან ქაოტურადაა ჩაყრილი ყველაფერი და არ ჩანს სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობა. შესაბამისად, იდენტიფიცირება ვის რა აქვს გამოქვეყნებული ძალიან რთულია. კაკულია ემზარი, მის ბიოგრაფიაშიც არ ჩანს სამეცნიერო აქტივობა. თედიაშვილი ზურაბი არის მათემატიკოსი. მას პუბლიკაციებიც საკმაოდ ჰქონდა და კვალიფიკაციაც ძალიან კარგი გააჩნდა, თუმცა, მეორე მხრივ, მათემატიკის ხვედრითი წილი ამ პროგრამის განხორციელებისთვის საკითხავია რამდენია. თამარ პეტრიაშვილი, ლინგვისტი, რომელიც ინგლისურ ენას ასწავლის, გასაგებია. ისაკო მეფარიშვილი, რომელიც ფილოლოგია და იგივე კითხვა არსებობს, ჩართულია აკადემიურ პერსონალად, პუბლიკაციებიც ფილოლოგიაში აქვს. იმ საგნებს, რომელთაც ასწავლის რამდენად მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებისთვის. ლიანა ჭოველიძე, რომლის ბიოგრაფიაც გაუგებარია, სამეცნიერო აქტივობა საერთოდ არ აქვს. მხოლოდ სწავლებით არის დაკავებული. მაია ადვაძე არის ასევე ლინგვისტი. 2012 წლიდან დღემდე არის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი. მანანა ალფაიძე ეკონომისტია, თუმცა სამეცნიერო აქტივობა არასწორადაა მითითებული სამეცნიერო აქტივობა ქაოტურადაა. მეგი მანდარია არის ფილოლოგი. პროფილს არ შეესაბამება. მედეა გოცირიძე ეკონომისტია, მაგრამ არასრულყოფილადაა პუბლიკაციები, მერაბ მიქელაშვილი არის ეკონომისტი, თუმცა პუბლიკაციები ასევე არასწორადაა მითითებული. ნანი ასლამაზაშვილი ასევე ეკონომისტია. ნოდარ სილაგაძე არის დოქტორი ეკონომისტი, მას მითითებული აქვს პუბლიკაციები, რომლის გვერდები რაოდენობა ერთი, ორი გვერდია. რევაზ ხარაზი ეკონომისტია, პუბლიკაციები ასევე არასწორადაა ჩამოწერილი. ეს კითხვები იმიტომ დაისვა, რომ აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის აკადემიური რესურსი, რომელიც მას განახორციელებს. მეორე საკითხი, რომელიც შეეხება სილაბუსებს. „ბიზნესის

ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა“ ძალიან ბევრი საკითხი ხომ არ იყო ინკორპორირებული? „ბიზნეს სამართალი“ წარმოადგენს მნიშვნელოვან კურსს ბიზნესის ადმინისტრირების შესახებ. სილაბუსი და ის ლიტერატურა, რომელიც აქ იყო ინკორპორირებული საერთოდ არ არსებობს. თემა პირველი „ქართული სამართლის სისტემა და ბიზნესის მარეგულირებელი აქტების მიმოხილვა.“ ლიტერატურაში მითითებულია კერძო კერძო, 1-5 გვერდები. ამ გვერდებზე არ არის კანონმდებლობის აქტები მითითებული, საკითხი არ შეესაბამება მითითებულ გვერდებს. შემდეგი თემა „სახელმწიფო რეგულირება“ აქ ძალიან ბევრი საკითხია ჩაშლილი, ქვესაკითხებია ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები და ა.შ. მითითებულია ხარაზი, „საგადასახადო სამართალი“ და აქ ეს საკითხები ინკორპორირებული არ არის. კერძო სამართალი და სამოქალაქო სამართალი რას ნიშნავს, ხომ არ გულისხმობს ზოგადი კერძო სამართალი და განსაკუთრებული სამართალი. სპეციალური სამართალი ბუნებაში არ არსებობს, ეს არის განსაკუთრებული სამართალი. შემდეგი საკითხი სამეწარმეო სამართალი და კანონი მეწარმეთა შესახებ. კანონი როგორ შეიძლება ისწავლებოდეს. კანონის კომენტარში იურიდიული პირის ცნებასა და ნიშნებს საერთოდ ვერ იპოვით. შემდეგ მეხუთე საკითხი არის ქონება. ზოგადად სილაბუსი ძალიან არასისტემატურად არის დალაგებული, მხოლოდ ჩაყრილია. შედეგი რა არის ამ საგნის ძალიან ბუნდოვანია. შემდეგი სილაბუსი არის „ინვესტირების საფუძვლები“. აქაც შთაბეჭდილება რჩება, რომ ბევრი საკითხია ინკორპორირებული, რომლის სწავლება ერთი საგნის ფარგლებშია შეუძლებელი. „კორპორაციულ მენეჯმენტთან“ დაკავშირებით შენიშვნა, აქაც სილაბუსი სისტემაში არ არის მოყვანილი. აქ არის ჩამოწერილი ინდივიდუალურიდან დაწყებული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მითითებულია წიგნი, რომელშიც ეს საერთოდ არ არის მოცემული. კორპორაციული მართვა და კორპორატიული მენეჯმენტი გამოიყენება მხოლოდ კაპიტალური ტიპის სამართლებრივ საზოგადოებაში, იქ სადაც ზღვარი გადის იურიდიული ტიპის ქონებასა და მიზარებულ ქონებას შორის. შემდეგ მოდის კორპორაციული მართვის საფუძვლები, სისტემის საერთო დახასიათება. აქ რა იგულისხმება? კორპორაციის ხელმძღვანელების ურთიერთობა სხვა სუბიექტებთან, რომელ სუბიექტებთან? კორპორაციის რეორგანიზაცია, რას ასწავლით ამის ქვეშ, კორპორაციის დაფინანსების წყაროები. თემები მეორდება. ასევე, ჯგუფური ქცევა, რა იგულისხმება ამ ჯგუფებში? კორპორაციული კულტურა, ეს ხომ ისწავლება სხვა სილაბუსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ მიქელაშვილმა აღნიშნა, რომ ნიკა შოშიტაშვილი უკვე დოქტორია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ სილაბუსს „ინვესტირების საფუძვლების“ შესახებ რეკომენდაცია დასკვნაშიც არის აღნიშნული.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნიკოლოზ ქოიავამ აღნიშნა, რომ კორპორაციული ფინანსების სილაბუსშიც აქვთ ეს ყველაფერი მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ კითხვით მიმართა საბჭოს წევრს ირაკლი ბურდულს, მეორდებოდა თუ არა თემები და მოითხოვა მათი დაკონკრეტება. კერძოდ, დაესახელებინა მეორე თემაც, გვერდები ლიტერატურა და ა.შ.



28

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ეს იყო მეცამეტე თემა კორპორაციული კულტურა. კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები, გვერდები 170-173, ავტორი ბიწამე. ეს იყო ფინანსურ მენეჯმენტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ მიქელაშვილმა აღნიშნა, რომ ამისთვის პასუხის გასაცემად საჭიროა საბჭოს სხდომაზე 60 სილაბუსის ავტორის ყოფნა. გამომსვლელი თვლიდა, რომ შპს უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯიას“ მიმართ ადგილი ჰქონდა სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც გამოჩნდა საბჭოს სხდომის მსვლელობის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეცვათ ეთიკის ნორმები. მიმართა, რომ ეთიკის ნორმების დაცვით მათ ექნებოდათ საშუალება ეპასუხათ შეკითხვებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ ირაკლი ბურდულის დასწრება არ ყოფილა სხვა საკითხების დროს. მოუწოდებს საბჭოს გაკეთებულიყო ჩანაწერი. აღნიშნა, რომ ირაკლი ბურდული დისკრედიტაციას ეწევა უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯიას“ მიმართ, რატომ არის დაინტერესებული ის, რომ არ მიიღოს დაწესებულებამ აკრედიტაცია. გოჩა თუთბერიძე კვალიფიციური ექსპერტია და ამიტომ მოხდა ეს გამონაკლისი. აღნიშნა, რომ ასეთი შეკითხვები აქამდე, წინა აკრედიტაციის საბჭოზე არ დასმულა. რა თქმა უნდა, ამ ყველა კითხვაზე პასუხს გასცემდა დაწესებულება.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ იგი იყო საბჭოს წევრი და ჰქონდა უფლება, რომ აკადემიურ პერსონალსა და სილაბუსების შინაარსთან დაკავშირებით დაესვა კითხვები. შემდეგი სილაბუსი, რომელიც მან მოიყვანა მაგალითად, ეხებოდა „საბანკო საქმეს“, ესეც სავალდებულო საგანი იყო, მეოთხე თემასთან დაკავშირებით „მსოფლიო საბანკო სისტემები თანამედროვე ეტაპზე“, დაინტერესდა, სტუდენტი რომ სწავლობს ამ თემების მიწოდებას რა პრინციპით ხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ ის არის მარკეტოლოგი და ამ სილაბუსებთან დაკავშირებით შეუძლია პასუხი გასცეს.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა მიმართა, რომ მათ შეეძლოთ მოეყვანათ ნებისმიერი სპეციალისტი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არ იმყოფებიან იქ და დაწესებულება ვერ სცემდა პასუხს, აინტერესებდა, ამის გამო ხომ არ უნდა შეეკავებინა თავი საბჭოს წევრს. სილაბუსთან, „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. სალომე პირველი ავტორი იყო. სავალდებულო ხომ არაა, რაშია საჭირო ეს საგანი? მაგალითად რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია მთელი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, ასევე სამი სემესტრის განმავლობაში უნდა ისწავლებოდეს. პირველი მიმართულება შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს, თუ კი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი არ იყო ვარგისი, პროგრამა ვერ განხორციელდება. ასევე, თუ საგნების სილაბუსები ვერ უძლებდა კრიტიკას, პროგრამა ვერ იფუნქციონირებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს მშვიდ გარემოში ეპასუხათ დასმული შეკითხვებისთვის. გარდა ამისა, საინტერესო იქნებოდა იმავე შეკითხვებზე ექსპერტების მოსაზრებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ განახორციელა შეფასება. პროგრამაზე იყო 26 მოწვეული და აკადემიური პერსონალი, საიდანაც 19 იყო აკადემიური პერსონალი და 7 მოწვეული. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის რაოდენობა სამჯერ აღემატებოდა მოწვეულისას. ბატონი მერაბ მიქელაშვილი, აფილირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელია. CV-ის შესრულების თავისებურებებზე იყო საუბარი, CV-ის დონეზე შეიძლება განხილული იყოს პროფესორის აკადემიური თავისუფლება? სად წერია CV-ის შესრულების შესაბამისობის მოთხოვნა. შემდგომ, ბიზნესის ადმინისტრირების მართვა, დაგეგმვა და ორგანიზება, რომლის მიმართაც ბატონი მიქელაშვილი უპასუხებს. უხერხულია, რომ ახალგაზრდა კაცს პირადი ინტერესი გააჩნია უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯიასა“ და კობალავა მარინას მიმართ. ქალბატონმა მარინემ განმარტა, რომ თავად არის მარკეტოლოგი, 53 ნაშრომის ავტორი. 2010 წელს სამასგვერდიანი მარკეტინგის საფუძვლები არის მის მიერ შესრულებული. ბატონი გოგიტა არის ძალიან ბევრი ნაშრომის ავტორი. ასლამაზიშვილი ნანა ეროვნული ბანკის საფინანსო დეპარტამენტის უფროსია. 15 ეკონომისტია პროგრამაზე, თედიაშვილი არის მათემატიკოსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბოჭორიშვილმა პუბლიკაციების შესახებ დააზუსტა. აინტერესებდა, მხოლოდ არასწორად იყო მითითებული, თუ საერთოდ არ იყო მითითებული, კარგი იქნებოდა დაეზუსტებინა ბატონ ირაკლის.

საბჭოს წევრმა, ირკალი ბურდულმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, ამიტომ მათთან მიმართებით გამოითქვა ინტერესი, რომ მათი ბიოგრაფიებიდან არ ჩანდა შესაბამისი სამეცნიერო აქტივობა და პუბლიკაციები. მათი კვალიფიკაცია, რომ ეკონომისტები იყვნენ ხომ უნდა დადგენილიყო გარკვეული სამეცნიერო საქმიანობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ ისაკო მეფარიშვილი ასწავლიდა მეტყველების კულტურასა და აკადემიურ წერას. სხვა ჰუმანიტარული ფაკულტეტის სპეციალისტები იყვნენ ინგლისური ენის სპეციალისტები. 25 კრედიტამდე გაიზარდა ინგლისური ენის სწავლება. წინა ოქმში აღნიშნული იყო: „ირაკლი ბურდული დაინტერესდა, რომელ ფაკულტეტზე ხორციელდებოდა პროგრამა“. მიმართავს, რომ ისიც არ იცოდნენ რომელი პროგრამით იყო ინსტიტუცია შემოსული და ეს იყო დავალება, რომ ამ სასწავლებლისთვის აკრედიტაცია არ მიეცათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ცდებიან განსახილველ საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ როგორ შეიძლებოდა აუდიტის კონკრეტული თემების განხილვა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოწვეულ იქნენ ექსპერტები თემების: cashflow და ფულის ღირებულება დროში განსახილველად. მათ შეაფასეს პროგრამა. რომელი სტანდარტი ჩააგდო ფულის ფასმა დროში არ იციან. ხოლო ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტა:

პირველი, ალბათობის თეორიასთან დაკავშირებით იყო სასურველი, ეს ბატონმა გოჩამაც ახსენა. სტატისტიკის ზოგად თეორიაში და სხვა საკითხებში იყო აღნიშნული. პროფესორი ვერ მოვიდა, რომელიც გასცემდა ამაზე პასუხს. პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად იმუშავეს და პროგრამა მოდიფიცირებული სახით უკვე ხელმისაწვდომია. მიუხედავად ამისა, ჩატარდა ემპირიული კვლევა. 21 უმაღლესი სასწავლებელი გამოიკვლიეს, რომელსაც გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა. ის სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამის შედეგზე არ გავიდა და მიზანი არ გაზომა, არ ჩაითვალა შესაბამისად. შემდეგ ერთპიროვნულად გათვალისწინებულ იქნა ექსპერტების რეკომენდაცია. მეორე, ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო კურსი ვერ დაიწუნეს. საბჭოს სხდომის ოქმში გაჩნდა ჩანაწერი, რომ ფულის ღირებულების ნაცვლად ფულის ფასი უნდა ყოფილიყო ჩაწერილი. აპელაციაზე თურქიას მიმართეს, რომ არ იცოდა ამ საკითხის შესახებ, ეს აპელაციის სხდომის ოქმში იქნება ჩაწერილი. Cashflow-ს საკითხი, საინტერესოა, ეს თუ არ არის განხილული, პროგრამას აკრედიტაცია არ ეკუთვნის? თუმცა პირველ სემესტრში აუდიტში cashflow ისწავლება. ოქმში წერია, რომ ასევე უნდა გამახვილებულიყო ისეთ საკითხებზე ყურადღება, როგორცაა cashflow. სახელმძღვანელოზეა აქვე საუბარი. ჩანაწერში ეწერა, რომ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები არა იყო. ამიტომ დაწუნებული. ამ შემთხვევაში უცხო ენის ფლობის წინაპირობა უნდა არსებობდეს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ინგლისურენოვანი ლიტერატურის გაცნობა. შესაბამისად ამ რეკომენდაციას ვერ მიიღებდა. ბრეგაშვილი აღნიშნავდა, რომ თემების გადაფარვა ხდებოდა. მენეჯმენტის საფუძვლებში მოტივაციაზე იყო საუბარი. შემდგომ კორპორაციულ ეთიკაში მომხმარებლის ეთიკაზე იყო საუბარი. მცირე და საშუალო ბიზნესი, შრომის მოტივაციის ფაქტორები იყო. ორგანიზაციული ქცევაში კი განხილული იყო სამუშაო გარემო. ლიტერატურა ყველგან განსხვავებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბოჭორიშვილმა შეაჯამა საბჭოს წევრის მიერ გამოთქული მოსაზრება აკადემიური პერსონალის შესახებ. 26 აკადემიური პერსონალიდან ჩამოთვლილი იყო 16. მიუხედავად ამისა, ინგლისური ენის კომპონენტი, მეტყველების კულტურა და აკადემიური წერა ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამისთვის. სპეციალისტების წილი არის 16 ეკონომისტი, კიდევ ერთი მათემატიკოსი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ, იკითხა იმ 16 ადამიანიდან, რომელიც აქ დასახელდა ჩართული იყო თუ არა სასწავლო პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ ყველა დასაქმებული იყო დაწესებულებაში და აქდან 9 ჩართული იყო პროგრამის განხორციელების ზოგად ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დააზუსტა ინფორმაცია, რომ 26 პერსონალიდან 9 არის ზოგადი საუნივერსიტეტო საგნების ლექტორი, ხოლო დანარჩენი -სპეციალობის საგნების წარმართველი სპეციალისტები. ასევე, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენი იყო სპეციალისტების წილი. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ პასუხი მეტად დამაჯერებელი იქნებოდა, თუკი წარმოადგენდნენ კონკრეტულ პასუხს კონკრეტულ კითხვებზე.



დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ 26 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან მხოლოდ 6-ია რომელიც არ იყო დარგის სპეციალისტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებულია, რომ 18 აკადემიური პერსონალი ახორციელებდა და 7 მოწვეული პერსონალი. არსებობდა რეკომენდაცია, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაზრდილიყო, ასევე გაზრდილიყო აფილირებული პროფესორების რაოდენობა. მოცემული იყო თანაფარდობა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის 1/10. იმ დროისთვის აკადემიური პერსონალი იყო საკმარისი, თუმცა მიეცა რეკომენდაცია, რომ გაეზარდათ აკადემიური პერსონალის რაოდენობა. მათი განვითარება და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობაც იყო აღნიშნული. ეს აკადემიური პერსონალი ფარავდა სასწავლო კურსების 80%.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ ასევე დაამატა, რომ აფილირებული პროფესორების რაოდენობა გაიზარდა 125%-ით, 8 სტუდენტს 1 ადმინისტრაციული ერთეული ემსახურება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ მიქელაშვილმა აღნიშნა, რომ საგნობრივი საუბარი ძალიან რთულია. ყველა სილაბუსი და ლიტერატურა უნდა ყოფილიყო მოცემული და ისე შემოწმებულიყო. ეს პროგრამა იყო რამდენჯერმე გავლილი აკადემიურ პერსონალთან შინაარსობრივად. ნებისმიერ დონეზე სათითაოდ სილაბუსებზე საუბარი შესაძლებელია, თუმცა შეუძლებელი, რომ ეს ყველაფერი ზეპირად ყოფილიყო პასუხგაცემული. ამის მიუხედავად, ტექნიკურ ხარვეზებზე თავს ვერ დადებდა. აკრედიტაციის არ მიცემის მიზეზად ჩაიწერა ფულის ღირებულებასა და ფულის ფასს შორის განსხვავება. ორი აკადემიკოსი არსებობდა საქართველოში: პაპავა და სილაგაძე. ორივესთან გაიარეს კონსულტაცია. არსებობს ზაირა ლუდუშაურის ნაშრომი, რომელშიც ეს ტერმინი არის გამოყენებული ფულის ფასი დროში. სილაბუსში მითითებულ იყო სწორედ ზაირა ლუდუშაურის ნაშრომი. ტერმინოლოგიური პრობლემაა ეკონომიკისა და ბიზნესის ნაწილში ზოგადად საქართველოში. შესაბამისად, ამის სტანდარტი არ არსებობს, რომლის საფუძველზეც შეიძლება ვიდავოთ. რაც შეეხება კონკრეტულ საგნებს. „ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა“ - ეს არის საერთაშორისოდ მიღებული ნორმა, ასევე ჰქვია საგანს, რომელიც აგრძელებს სასწავლო კურსს „ბიზნესის საფუძვლები“. სახელმძღვანელოებიც იყო ინგლისურენოვანი სწორედ ამ სახელწოდებით. ინვესტიციის საფუძვლებზე და სხვა საგნებზე, უჭირდა რაიმეს თქმა, რადგან არასწორი გამოვიდოდა მისი მხრიდან. არ იცნობდა კონკრეტულ სილაბუსებს, მის გვერდებსა და ყველა ლიტერატურას, თუმცა ის, რომ შინაარსობრივად ნამდვილად იფარებოდა ყველა საკითხი, რადგან ძალიან დიდი დრო დაეთმო ყველა სილაბუსის შედგენას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ბიზნეს სამართალთან დაკავშირებით იზიარებს ბ-ნი ირაკლის პოზიციას, თუმცა მაინც ითვლებოდა, რომ სამეწარმეო სამართალი არ არის მნიშვნელოვანი. სპეციალობის საგნებთან დაკავშირებით ბატონი გოჩასა და მოწვეული ექსპერტის პოზიცია იყო საინტერესო.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში ასახა გარკვეულ სილაბუსებში არსებული პრობლემები. მასალა, რომელსაც ეს სილაბუსები ეყრდნობოდა არ

იყო რელიევანტური და საჭიროებდა გადამუშავებას (მაგ. „ინვესტიციის საფუძვლები“ და ა.შ.) დაწესებულება ამას დაეთანხმა, ამიტომ ეს უნდა გაკეთებულიყო. რამდენიმე საგანში ერთი და იგივე მიზანი იყო მითითებული, აიხსნა რომ იყო მექანიკური შეცდომა, გასწორებული სილაბუსებიც იყო წარმოდგენილი. ეს ხარვეზები გამოსწორებადი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა საბჭოს მოწვეულ ექსპერტს, ნიკოლოზ ქოიავას ეთანხმებოდა თუ არა ბ-ნი გოჩას მოსაზრებას.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნიკოლოზ ქოიავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებულია სილაბუსებში არსებული ხარვეზები. პრინციპულად აღნიშნა ისეთი სილაბუსები, რომლებიც არ იყო მითითებული დასკვნაში. პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც არის კომპლექსულად უზრუნველყოს ბიზნესის ყველა დეტერმინანტის ცოდნა, პრობლემურია, რადგან სასწავლო კურსის კომპონენტები ამას ვერ უზრუნველყოფდნენ, მიზანი და შედეგები არ იყო თანხვედრაში. ასევე, სილაბუსების მიზნები და შედეგები თანხვედრაში არ არის პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ მოწვეულ ექსპერტს სთხოვა კონკრეტულად დაესახელებინა ის სილაბუსები, რომელიც პროგრამასთან თანხვედრაში არ არის.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნიკოლოზ ქოიავამ მაგალითად მოიყვანა, საწარმოო პროცესები, პროდუქციის თეორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ მიქელაშვილმა აღნიშნა, რომ ეს თემები საბაკალავრო პროგრამას არ შეეხებოდა და რომ აღნიშნული საკითხები სამაგისტრო საფეხურის შესაბამისია, რომელსაც დაწესებულება არ ახორციელებს.

მოწვეულმა ექსპერტი, ნიკოლოზ ქოიავა დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ სწორედ ამის თქმა სურდა და რომ ეს საკითხები არ უნდა ყოფილიყო პროგრამის მიზანში ფორმულირებული, შეიძლება მიზანის ფორმულირება იყოს სხვაგვარი და არ აესახად ყველა დეტერმინანტი და ჩაეწერათ მხოლოდ ის, რაც რეალურად ისწავლებოდა პროგრამაზე. ასევე, განაცხადა, რომ ბაკალავრიატის დონეზე ბიზნესის ყველა დეტერმინანტი პროდუქციის თეორიას არ ქმნიდა. მეორე საკითხი, აუდიტთან დაკავშირებით, რომ წინაპირობა ფინანსური აღრიცხვა არ არის. ასევე, მიზნებში ფინანსური აღრიცხვის პრაქტიკული ანალიზი არის აღნიშნული და ეს თემატურად არ არის წარმოდგენილი სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ ყველა დეტერმინანტი იყო საბაკალავრო დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ მიქელაშვილმა აღნიშნა, რომ აუდიტი არჩევითი საგანი იყო, რომელსაც გააჩნდა წინაპირობები. ჰქონდა ფინანსების ზოგადი თეორია და საგადასახადო საქმე - წინაპირობად.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნიკოლოზ ქოიავამ განმარტა, რომ სავალდებულო საგნებში ეწერა და იყო წინაპირობის გარეშე. ფინანსური ანგარიშგებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ურჩია, რომ უკეთესი იქმებოდა, ამოეღოთ „ანგარიშგება“ და დარჩენილიყო „აღრიცხვა.“

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რაიმეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 20:53 საათზე.

სხდომა განახლდა: 21:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^გ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და 28^ბ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად, შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“

საფეხური - ბაკალავრი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)

უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასასრულებულად გამოცხადდა 21:25 საათზე.

თავმჯდომარე

ქეთევან ქოქრაშვილი



მდივანი

ნატო გენგიური

